ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3831989

ნომერი: AR1577349

თარიღი : 13.02.2018

გაცემის თარიღი : 21.02.2018

გაცნობის თარიღი : 21.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N87 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ როინიშვილი პ/ნ 01009014164
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 35 ბ. 48

ორგანიზაცია:
- შპს GREEN LINE COMPANY კოდი: 404385768

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2604696
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.05.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№ AR1577349 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წერილის შესაბამისად, მონოლითური ფილის ნაცვლად მოწყობილია თაბაშირ-მუყაოს ფილა, შესაბამისად ვინაიდან სართულის სიმაღლე ითვლება იატაკის გეგმარებითი ნიშნულიდან ჭერის კონსტრუქციის ქვედა ნიშნულამდე, ბოლო სართული გამოვა სრული და მთლიანად იანგარიშება კ2 კოეფიციენტის სააგარიშო ფართში, აქედან გამომდინარე, შენობით ათვისებული კ2 კოეფიციენტი გადააჭარბებს დადგენილს; გამომდინარე აქედან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.
ასევე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან +30.60 ნიშნულზე ე-ზ მონაკვეთში 5 ღერძზე შემცირდა კედლის სიმაღლე, დაირღვევა სამეზობლო მიჯნა, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამეზობლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების მიერ გაცემული თანხმობა, ან მშენებლობა მოიყვანოთ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში, ასევე
ქუჩის მხარეს გამავალ ფასადზე კონდენციონერები მოსაყვანია ერთიან სისტემაში - ისე, რომ არ იყოს ხილვადი, რის შემდგომაც, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით. ასევე ვინაიდან ფიქსირდება, რომ ლიფტის კარის გაბარიტები შემცირებულია და პანდუსის დახრა ნორმებს არ აკმაყოფილებს საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი და გაითვალისწინოთ რომ ლიფტის კარის სიგანის და დახრის პროცენტულობის ნორმასთან შეუსაბამობა არ უნდა იყოს გაზრდილი შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.